სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საერთაშორისოდ აღიარებული წარმატებული სტუდენტები.

13.04.2019

1.სალომე წიქვაძე ბაკალავრიატის მე–4 კურსის სტუდენტი - თამაში „ჩუს“ დამფუძნებელი.

პროგრამა „Social Impact Award 2018” - ის გამარჯვებული

ჩუ არის ჟესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სოციალური საწარმო, რომელიც სამაგიდო თამაშების მეშვეობით ცდილობს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას.
„ჩუს“ პროდუქციით თამაშის პროცესში მოთამაშეები სწავლობენ სიტყვებს ჟესტურ ენაზე, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს.

სოციალური საწარმოს მისია

სმენის შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ჟესტური ენის პოპულარიზაციის გზით.

სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

სამაგიდო თამაშები, რომლებიც აგებულია ყველასათვის საყვარელი ძველი თამაშების პრინციპებით. ის ხელს უწყობს ჟესტური ენის მარტივად დასწავლას და მეხსიერების განვითარებას.
რეკომენდირებულია 6 წლიდან ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის.
კორპორაციულ დამკვეთებს საწარმო სთავაზობს არსებული სამაგიდო თამაშების მოდიფიცირებას - სიტყვების და დიზაინის შერჩევას მათ ინტერესებიდან გამომდინარე.
დაინტერესებულ პირებს საწარმოს წარმომადგენლები სთავაზობენ სამაგიდო თამაშების შეჯიბრის მოწყობის სერვისს ინსტრუქტორის თანხლებით.

სოციალური შედეგები

საპილოტე რეჟიმში 200-ზე მეტმა ადამიანმა ითამაშა „ჩუს“ სამაგიდო თამაშებით, რამაც ხელი შეუწყო ჟესტური ენის პოპულარიზაციას.

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი,საქართველო
სალომე წიქვაძე
(+995)568610330
chu.social@gmail.com
@chugeorgiangame

https://www.youtube.com/watch?v=zdIqo_e37hc

2.ოთარ მჭედლიშვილი სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტი

- **2015 წელს დააარსა კალიგრაფიის, ილუმინირებისა და ხელნაკინძი წიგნის ხელოვნების სკოლა „ქართული ხელრთვა“**

- 2011 წლიდან დაიწყო მუშაობს ეტრატის დამუშავების დაკარგული ტექნოლოგიის აღდგენაზე. პირველად დამზადებულ მასალაზე გადაწერა ნაწყვეტი ქართლის ცხოვრებიდან - „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“.

- 2013 წლიდან იწყებს მუშაობას უძველესი ქართული სამწიგნობრო ხელსაწყოების აღდგენაზე: ლერწამი, ბატის ფრთა, მელანი - Atramentum (იგივე მურის მელანი) და სხვ.

- 2014 წლიდან არის „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების“ წევრი.

- კითხულობს ლექციებს ქართული მწიგნობრობის, წიგნის ხელოვნებისა და მინიატურის შესახებ სხვადასხვა სკოლაში, ასევე მუშაობს კერძო დაკვეთებზე.

- 2014 წლიდან არის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამავე წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში წაიკითხა ლექციების ციკლი აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებისთვის კალიგრაფიისა და წიგნის დეკორის თემაზე.

- **2015 წელს დააარსა კალიგრაფიის, ილუმინირებისა და ხელნაკინძი წიგნის ხელოვნების სკოლა „ქართული ხელრთვა“**

- 2016 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც ატარებს სემინარებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს წიგნის აკინძვის ხელოვნებასა და კალიგრაფია-მინიატურაში.

- 2016 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი.

- 2016 წლის დეკემბერი: ისი-პარი თბილისი. კალიგრაფიული გაფორმების სპეციალისტი

- 2017 წლის ივნისი: სანქტ-პეტერბურგის კალიგრაფიისა და ლეთერინგის სკოლა“typetypeschool” . Кампус в Тбилиси «Каллиграфия. Погружение». ქართული

კალიგრაფიისა და ხელნაწერის მოხატულობის ინგლისურენოვანი პროგრამის პედაგოგი.

- 2017 წელს ილუსტრირება გაუკეთა ოსკარ უაილდის მოთხობას „კენტერვილის აჩრდილი“ და სემუელ ტეილორ კოლრიჯის პოემას „ქრისტაბელი“.

- 2018 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგრამა, **არქიტექტურის მაგისტრი**.

- 2018 წლის ივნისი: ეი დი სი კომპანის თანადამფუძვნებელი და მთავარი არქიტექტორი

- 2018 წლის ივლისი - ნოემბერი კომპანია ბიბიესის არქიტექტურის დეპატრამენტის ხელმძღვანელი, მთავარი არქიტექტორი.

- 2018 წლის ოქტომბრიდან სწავლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, დოქტორანტურის პროგრამაზე.

- 2018 წლის ნოემბერი **კალიგრაფიული საუზმე თბილისში**პროექტის კალიგრაფიის პედაგოგი

ინფორმაცია: https://qartulixelrtva.wixsite.com/calligraphy/blank/date/2016-02